ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 401/p 371-18

"14" 02 2018 წ.

დადგენილება №001275
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

14.02.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2018 წლის 13 თებერვლის №001275 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **შ.პ.ს. "ეიმ ბილდინგ კომპანი"**-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №206318046, დირ. ოთარი ხავთასი, პირადი №01013011059, მის: ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მ/რ, კორპ. №403, ბ. №3) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ქ. მაღალაშვილის ქ. №19, საკ. კოდი №01.12.03.016.051-ში შ.პ.ს. "ეიმ ბილდინგ კომპანი"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2141589 AR1320614 18.08.2015წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადებზე კარ-ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია ორფრთიანი კარებები. შეცვლილია ფანჯრების და კარებების გაბარიტი. შეცვლილია რიგელების გაბარიტი. დამატებულია კონდიციონერები, წყლის გამაცხელებელი კარადები და გამწოვი მილები. აივნების ნაწილზე დამატებულია ლითონის სვეტები. შემცირებულია მოაჯირების სიმაღლე. შეცვლილია პერბოლების დახრა და გაბარიტი, ზოგიერთი პერბოლა კარბოლუქსის ნაცვლათ შევსებულია თუნუქის ფურცლით. შეცვლილია წყალშემკრები მილების ფორმა და რაოდენობა. შეცვლილია რელიეფის დონე. „4-1" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე „4" ღერძთან გაუქმებულია ბაქანი, შეცვლილია კარის ნახატი და გაბარიტი. „3" ღერძთან კარის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა. +13.00 ნიშნულზე „2" ღერძთან შეცვლილია მოაჯირების სიგრძე. „3-2" მონაკვეთში გაზრდილია აივნის სიგრძე. +19.41 ნიშნულზე პარაპეტის კედლების ნაწილი შეღებილია განსხვავებულ ფერში. „ა-გ" ფასადი შეღებილია ერთ ფერში. „გ-ა" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე „ბ-ა" მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრების გაბარიტი. +13.00 ნიშნულზე „ა" ღერძის გარეთ გადახურვის ფილის ძირში მოწყობილია ... „1-4" ფასადი: შენობის ძირში შეცვლილია ღიობების გაბარიტი, ... სადარბაზოები და შ.შ.მ პირთათვის განკუთვნილი პანდუსი. „2-3" მონაკვეთში შეცვლილია კედლის

ქ. თბილისი 0160, ქ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ფორმა, კარის ნახატი და გაბარიტი. +3.40 ნიშნულზე „1-2" მონაკვეთში გაზრდილია აივნის ფილის სისქე. +3.40 ნიშნულიდან ზემოთ „2-3" მონაკვეთში სართულებზე შეცვლილია ფანჯრების მდებარეობა. შენობის შიგნით ±0.00 ნიშნულზე სადარბაზოში შ.შ.მ პირთათვის განკუთვნილი პანდუსის ნაცვლად მოწყობილია საფეხურები. +13.00 ნიშნულზე გაუქმებულია დუპლექსის სართულზე დამაკავშირებელი კიბე, რის გამოც +16.20 ნიშნულზე მოწყობილია ტიპიური სართული. +16.20 ნიშნულზე გაზრდილია სადარბაზოს გაბარიტი და ლიფტის სამანქანოსთან არ არის მოწყობილი საფეხურები. სახურავზე მოწყობილია სავენტილაციო შახტები, შეცვლილია კარის ნახატი, გაბარიტი და მდებარეობა. +20.90 ნიშნულზე შეცვლილია კიბის უჯრედის გადახურვის დახრა და სიმაღლე. ტერიტორიაზე დამატებულია დაბალი საყრდენი კედელი და გამწვანების ნაწილი მოპირკეთებულია ბეტონის საფარით. „4-1" ფასადის მხარეს მოწყობილი მოპირკეთების ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს. ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ მომხდარა ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარმოდგენა.

2018 წლის 8 იანვარს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ვ" და "ზ" პუნქტების საფუძველზე, საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001275 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №19/01173282739-17 24.11.2017წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. "ეიმ ბილდინგ კომპანი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ქ. მაღალაშვილის ქ. №19, საკ. კოდი №01.12.03.016.051-ში შ.პ.ს. "ეიმ ბილდინგ კომპანი"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2141589 AR1320614 18.08.2015წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ეიმ ბილდინგ კომპანი" დაჯარიმდეს 3000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის, ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარმოდგენლობისათვის, რომლის მშენებლობაც დამთავრებულია;

2. შ.პ.ს. "ეიმ ბილდინგ კომპანი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ეიმ ბილდინგ კომპანი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7);

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე მ. ჯაფარიძე

№001275 შემოწმების აქტის დანართი (დანართი ერთი ფურცელი)

ფასადებზე კარ-ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია ორფრთიანი კარებები. შეცვლილია ფანჯრების და კარებების გაბარიტი. შეცვლილია რიგელების გაბარიტი. დამატებულია კონდიციონერები, წყლის გამაცხელებელი კარადები და გამწოვი მილები. აივნების ნაწილზე დამატებულია ლითონის სვეტები. შემცირებულია მოაჯირების სიმაღლე. შეცვლილია პერბოლების დახრა და გაბარიტი, ზოგიერთი პერბოლა კარბოლუქსის ნაცვლათ შევსებულია თუნუქის ფურცლით. შეცვლილია წყალშემკრები მილების ფორმა და რაოდენობა. შეცვლილია რელიეფის დონე.

„4-1" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე „4" ღერძთან გაუქმებულია ბაქანი, შეცვლილია კარის ნახატი და გაბარიტი. „3" ღერძთან კარის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა. +13.00 ნიშნულზე „2" ღერძთან შეცვლილია მოაჯირების სიგრძე. „3-2" მონაკვეთში გაზრდილია აივნის სიგრძე. +19.41 ნიშნულზე პარაპეტის კედლების ნაწილი შეღებილია განსხვავებულ ფერში.

„ა-გ" ფასადი შეღებილია ერთ ფერში.

„გ-ა" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე „ბ-ა" მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრების გაბარიტი. +13.00 ნიშნულზე „ა" ღერძის გარეთ გადახურვის ფილის ძირში მოწყობილია რიგელი.

„1-4" ფასადი: შენობის ძირში შეცვლილია ღიობების გაბარიტი, გაუქმებულია საფეხურები და შ.შ.მ პირთათვის განკუთვნილი პანდუსი. „2-3" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა, კარის ნახატი და გაბარიტი. +3.40 ნიშნულზე „1-2" მონაკვეთში გაზრდილია აივნის ფილის სისქე. +3.40 ნიშნულიდან ზემოთ „2-3" მონაკვეთში სართულებზე შეცვლილია ფანჯრების მდებარეობა.

შენობის შიგნით ±0.00 ნიშნულზე სადარბაზოში შ.შ.მ პირთათვის განკუთვნილი პანდუსის ნაცვლად მოწყობილია საფეხურები. +13.00 ნიშნულზე გაუქმებულია დუპლექსის სართულზე დამაკავშირებელი კიბე, რის გამოც +16.20 ნიშნულზე მოწყობილია ტიპიური სართული. +16.20 ნიშნულზე გაზრდილია სადარბაზოს გაბარიტი და ლიფტის სამანქანოსთან არ არის მოწყობილი საფეხურები. სახურავზე მოწყობილია სავენტილაციო შახტები, შეცვლილია კარის ნახატი, გაბარიტი და მდებარეობა. +20.90 ნიშნულზე შეცვლილია კიბის უჯრედის გადახურვის დახრა და სიმაღლე.

ტერიტორიაზე დამატებულია დაბალი საყრდენი კედელი და გამწვანების ნაწილი მოპირკეთებულია ბეტონის საფარით.

„4-1" ფასადის მხარეს მოწყობილი მოპირკეთების ნაწილი სცდება საკადასტრო საზრვრებს.

მთავარი სპეციალისტი /გ. ეთერია/

საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე **№** 0

ID 487848404

გადამხდელის დასახელება	შპს ეიმ ბილდინგ კომპანი	თანხა ციფრებით 3000.00 **GEL**
პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი	206318046	
ანგარიშის ნომერი	GE60PC0473600100005041	თანხა სიტყვებით სამიათასი ლარი 00 თეთრი
გადამხდელის ბანკი	სს "პროკრედიტ ბანკი" კოდი MIBGGE22	
საბიუჯეტო / სსიპ-ის სასარგებლოდ გადახდა		☐ სწრაფი გადარიცხვა (დამატებითი საკომისიო) სწრაფი რეჟიმით გადარიცხვა სრულდება მხოლოდ 09:30 სთ-დან 16:30 სთ-მდე
დასახელება	შპს ეიმ ბილდინგ კომპანი	
პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი	206318046	
მიმღების დასახელება	ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში(სხვა შემოსულობები/ თვითმმართველი ქალაქი თბილისის მუნიციპალიტე	ბანკის აღნიშვნები
ანგარიში / სახაზინო კოდი	300773263	
მიმღების ბანკი / ხაზინა	საქ.ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური კოდი TRESGE22	ბანკში შემოსვლის თარიღი **02.06.2018 11:46**
გადახდის დანიშნულება	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	ხელმოწერა ----------
დამატებითი ინფორმაცია	დადგენილება #001275 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე	პროკრედიტ ბანკი PROCREDIT BANK ელექტრონული მომსახურების ცენტრი ELECTRONIC SERVICE CENTER
ხელმომწერები ---------- ----------	ბეჭდის ადგილი თარიღი: **02.06.2018**	